ხელშეკრულება N11/019

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი 10 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“** შემდგომში **„შემსყიდველი“**, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ზაზა აბულაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სახალხო აფთიაქი“** შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი ფილიალის მენეჯერის ეთერ ხარებავას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და ”გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” კონკურენციისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად მიაწოდოს შემსყიდველს (მედიკამენტები და სამედიცინო ინვენტარი) ხელშეკრულების დანართი N1-ის შესამაბისად.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

1.3 მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი და სატანდარტულად შეფუთული.

2. ფასი და გადახდის პირობები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **429.56(ოთხას ოცდაცხრა ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს.**

2.2 ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებული საქონლის ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, ასევე კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საქონლის მიწოდების შემდეგ.

3. ხარისხი

მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესაბამისობასთან/ საქონლის მიწოდებისას, იმ შემთხვევაში თუკი საქონლის მიწოდებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ შეცვალოს წუნდებული საქონელი ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4. მიწოდების წესი

4.1 საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი მხარე საკუთარი ხარჯებით, არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2014 წლის 20 ნოემბრისა.**

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უნაკლო საქონელი.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების დროს ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: **ნინო წიკლაურს**,რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარებას.

4.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული ან უხარისხო (წუნდებული) ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

4.6 საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მომსახურების გაწევის პერიოდის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მასში აღნიშნული ოდენობის შესაბამისად.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.4 გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი საქონლის მიწოდების ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,2%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

6.3 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6.4 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მხოლოდ მათგან დამოუკიდებელი სტიქიური უბედურების ან სხვა ფორს-მაჟორულ შემთხვევაში.

7. ფორს-მაჟორი

მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8. სხვა უფლებები და ვალდებულებები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მიწოდებული საქონელი იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ნაკლოვანებები, რომლებიც გამორიცხავენ საქონლის გამოყენებას დანიშნულებისამებრ.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, იგი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს წერილობით მიმწოდებელს დასაბუთებული უარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ითვლება მიღებულად და ექვემდებარება ანაზღაურებას.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში:

8.3.1. თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავისი მიზეზით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის დადგენილ ვადებში მიწოდებას.

8.4 ხელშეკრულების დამრღვევი ერთი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებზე, საკითხის გადაუწყვეტობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება ხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9. სხვა პირობები

9.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამისილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრამდე .

9.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე მიმწოდებელთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართი და ხელმოწერა:

„შემსყიდველი“ **სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“**

საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. N19
ტელეფონი: 2 98 30 79
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი (მფო): TBCBGE22
ანგარიშის N: GE08 TB79 0763 4020 1000 05

„მიმწოდებელი“ **შპს "სახალხო აფთიაქი“**

საიდენტიფიკაციო კოდი: 202230157
მისამართი: თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ფეიქრების ქ., №12
ტელეფონი: 2 34 16 09 / 2 79 28 47
ბანკი: ს.ს. საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი (მფო): 220101502
ანგარიშის N: 116742100

იურიდული მისამართის ან/და საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობონ ერთმანთს ამის შესახებ.

„შემსყიდველი“
სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ზაზა აბულაძე

„მიმწოდებელი“
შპს „სახალხო აფთიაქი“

ეთერ ხარებავა

<u>დანართი #1</u>

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	CPV
1	ა-ფერნ ფორტე აბი N30	2	10.85	**21.7000**	***33600000***
2	ა-ფერნ ფორტე აბი N30 ტბ	1	10.85	**10.8500**	***33600000***
3	ალბუციდი 30% 10მლ თვ წვ	1	1.20	**1.2000**	***33600000***
4	ამპიცილინი 500მგ N10 კაფ	2	2.25	**4.5000**	***33600000***
5	ანასპანი 10 მგ	1	6.45	**6.4500**	***33600000***
6	ასპირინი C N10 შუშხ ტბ	1	4.85	**4.8500**	***33600000***
7	აცც 200მგ N20 შუშხ ტბ	1	8.70	**8.7000**	***33600000***
8	ბამბა (სამედიცინო) 40გ	3	0.45	**1.3500**	***33100000***
9	ბინტი სტერ.7*14	2	0.65	**1.3000**	***33100000***
10	ბინტი სტერ.5*10	2	0.45	**0.9000**	***33100000***
11	ბლოკორდილი 25მგ N20	2	2.15	**4.3000**	***33600000***
12	ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ	2	0.35	**0.7000**	***33600000***
13	დ/ტ რინოტაისი 10მლ	1	3.00	**3.0000**	***33600000***
14	დამამშვიდებელი წვ.35მგ	2	6.40	**12.8000**	***33600000***
15	დიკლაკი 55 50გ	1	4.50	**4.5000**	***33600000***
16	დიკლო დენკი 75მგ	1	3.20	**3.2000**	***33600000***
17	ესპუმიზანი (სიმეთიკონი) 40მგ კაფ. N25	1	3.35	**3.3500**	***33600000***
18	ეუფილინი 150მგ	1	0.65	**0.6500**	***33600000***
19	ეფექტი ფლუ 10%	1	4.45	**4.4500**	***33600000***
20	ვაგოსტაბილი N40 ტბ	1	14.50	**14.5000**	***33600000***
21	ვალიდოლი (მედილოლი) აბი N10	10	0.45	**4.5000**	***33600000***
22	ვალოკორდინი წვ. 20მლ	1	3.20	**3.2000**	***33600000***
23	ვოლტარენი(დიკლოფენაკი) 75მგ/3მლ ამპ.	1	6.50	**6.5000**	***33600000***
24	ზელენინის წვ.25 მლ	1	1.00	**1.0000**	***33600000***
25	თერმომეტრი ბუდით	2	1.15	**2.3000**	***38400000***
26	იბუპარ-ფორტე(იბუპროფენი) 400მგ N10	1	3.20	**3.2000**	***33600000***
27	ინსტი ბალახ კაპ. მენთოლით N5	3	3.45	**10.3500**	***33600000***
28	იოდის სპირტხსნარი	1	0.50	**0.5000**	***33600000***
29	კაპტოპრილი 50მგ აბი N20	1	4.70	**4.7000**	***33600000***
30	კარდიომაგნილი 150მგ	1	9.70	**9.7000**	***33600000***
31	კეტონალი 100მგ 2მლ ამპ.N10	0.3	12.40	**3.7200**	***33600000***
32	კეტონალი 50მგ 2მლ ამპ.N30	0.2	5.60	**1.1200**	***33600000***
33	კეტონალი 200მგ 2მლ ამპ.N30	0.8	4.90	**4.0832**	***33600000***
34	კორდარონი 200მგ	1	9.10	**9.1000**	***33600000***
35	კორვალოლი წვეთები 25მლ	5	0.70	**3.5000**	***33600000***
36	კორსიზი აბი N10	10	1.25	**12.5000**	***33600000***
37	ლევომიცეტინი 500მგ აბი N10	2	1.05	**2.1000**	***33600000***
38	ლინკასი პიტნით საწ ტბ	30	0.25	**7.5000**	***33600000***
39	ლეიკო ბაქტ. 19*72 მმ "პელიკანი" N10	1	2.55	**2.5500**	***33600000***

40	მეზიმ ფორტე დრაჟე N20	1	7.65	**7.6500**	***33600000***
41	მელსიკამი ამპ 15მგ/1.5მლ N3 (მელოქსიკამი)	1	8.90	**8.9000**	***33600000***
42	მიგ 400 400მგ N10 ტბ	1	5.00	**5.0000**	***33600000***
43	მინესულინი(ნიმესულიდი) 100მგ N30 პაკ	0.5	13.10	**6.5500**	***33600000***
44	ნახშირი N10 ტბ	10	0.20	**2.0000**	***33600000***
45	ნიმესილი 2გ N30 პაკ	0.66	11.55	**7.7004**	***33600000***
46	ნიტრომინტი 10მლ აეროზოლი	2	6.20	**12.4000**	***33600000***
47	ნო-შპა 40მგ აბი N100	2	6.95	**13.9000**	***33600000***
48	ნუროფენ ფორტე 400მგ	1	6.85	**6.8500**	***33600000***
49	ომეპარი 20მგ	3	0.70	**2.1000**	***33600000***
50	ოსტეოქეა N90 ტბ	1	19.95	**19.9500**	***33600000***
51	პანანგინი N50 დრ	1	6.75	**6.7500**	***33600000***
52	პაპაზოლი N10 ტბ	6	0.55	**3.3000**	***33600000***
53	პარლაზინი 10 მგ	0.33	9.05	**3.0164**	***33600000***
54	პრედნიზოლონი 5მგ N30	0.33	2.20	**0.7333**	***33600000***
55	სამედიცინო სპირტი 100მლ	6	2.45	**14.7000**	***24300000***
56	სმექტა N1 პაკ	3	0.45	**1.3500**	***33600000***
57	სტრეპსილსი მენთ. ევკალ. აბი N24	1	6.45	**6.4500**	***33600000***
58	სუპრასტინი 20მგ N5 ამპ	0.5	5.35	**2.6750**	***33600000***
59	ტაიქოლდი N10 კაფ	1	4.60	**4.6000**	***33600000***
60	ტემპალგინი აბი N20	1	2.05	**2.0500**	***33600000***
61	ტორადოლი 10მგ აბი N20	0.4	21.80	**8.7200**	***33600000***
62	ულტრა ვიტამინი C	0.25	14.95	**3.7375**	***33600000***
63	ფიტორემი N40 ტბ	1	28.80	**28.8000**	***33600000***
64	ფუროტალგინი 5მლ	1	3.35	**3.3500**	***33600000***
65	შპრიცი რეზ დგუშით 2მლ	10	0.10	**1.0000**	***33600000***
66	შპრიცი რეზ დგუშით 3მლ	10	0.10	**1.0000**	***33600000***
67	შპრიცი რეზ დგუშით 5მლ	5	0.15	**0.7500**	***33600000***
68	ცეფალგინი N10 ტბ	1	4.05	**4.0500**	***33600000***
69	ციპრინოლი 500მგ N10 ტბ	1	6.60	**6.6000**	***33600000***
70	ციტრამონი Pაბი N6	10	0.10	**1.0000**	***33600000***
71	წნევის აპარატი A 100	1	26.00	**26.0000**	***38400000***
72	წყალბადის ზეჟანგი 3 % 100მლ ხს	1	0.55	**0.5500**	***33600000***
				429.56	

შემსყიდველი:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთავლის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზაზა აბულაძე

მიმწოდებელი:

შპს სახალხო აფთიაქი

ეთერ ხარებავა

მიღება-ჩაბარების აქტი №11/019-1

თბილისი 14 ნოემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“** შემდგომში **„შემსყიდველი“**, უნივერსიტეტის ექიმის **ნინო წიკლაურის** სახით, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და მეორე მხრივ, **შპს „სახალხო აფთიაქი“** შემდგომში **„მიმწოდებელი“**, წარმოდგენილი ფილიალის მენეჯერის ეთერ ხარებავას სახით, რომელიც ასევე მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, 2014 წლის 10 ნოემბრის №11/019 ხელშეკრულების შესაბამისად ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა მიაწოდა ხოლო შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონელი სრულად**, რომლის საერთო ღირებულებაა **429.56(ოთხას ოცდაცხრა ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს**.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ნინო წიკლაური

„მიმწოდებელი“

შპს „სახალხო აფთიაქი“

ეთერ ხარებავა